სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70739400856618

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181561182

რეგისტრაციის თარიღი

26.12.2018 წ

ნოტარიუსი: ლელა ინწკირველი
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული
ტელეფონი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდაექვს დეკემბერს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსს ქ. თბილისში, ლელა ინწკირველის სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა _ ბატონმა **ირაკლი ჯობავამ** (დაბადებული 05.12.1952 წ. პირადი №62001006582), რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქ. სოხუმი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა №8, ბინა №33).

მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ირაკლი ჯობავამ განაცხადა, რომ:

ა) არის **შპს „ანკო უძრავი ქონების“** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 14/08/2018 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №405285383, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ქუჩა ჯიქია, მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი №31 / ქალაქი თბილისი, ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი №45) დირექტორი და ერთპიროვნულად წარმოადგენს ამ კომპანიას;

ბ) როგორც **შპს „ანკო უძრავი ქონების“** დირექტორს, სურს, **შპს „ანკო უძრავი ქონების“** წარმომადგენლის უფლებამოსილება მიანიჭოს **გიორგი ჯობავას** (დაბადებული 15.03.1987 წ. პირადი №62001020137, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქ. სოხუმი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა №8, ბინა №33).

მან მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება ჩემ მიერ.

მე შევამოწმე **ირაკლი ჯობავას** უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „ანკო უძრავი ქონების“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18089101, 22/08/2018 11:27:36);

ბ) შპს „ანკო უძრავი ქონების“ წესდება (დამოწმებული 13.08.2018 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესახებ).

შესაბამისად, ვადასტურებ, რომ **ირაკლი ჯობავას** უფლებამოსილება უნაკლოა.

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ:

„**ირაკლი ჯობავამ** (დაბადებული 05.12.1952 წ. პირადი №62001006582), რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქ. სოხუმი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა №8, ბინა №33), როგორც **შპს „ანკო უძრავი ქონების“** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 14/08/2018 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №405285383) დირექტორმა, **გიორგი ჯობავას** (დაბადებული 15.03.1987 წ. პირადი №62001020137, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქ. სოხუმი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა №8, ბინა №33), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც ,,რწმუნებული”, მიანიჭა **შპს „ანკო უძრავი ქონების“** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 14/08/2018 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №405285383) (რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მარწმუნებელი”) რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსის შესახებ

1. რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს **შპს „ანკო უძრავი ქონების“** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 14/08/2018 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №405285383) დირექტორის ყველა ვალდებულება და განახორციელოს დირექტორის სრული უფლებამოსილება მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით.

2. მინიჭებული უფლებამოსილებისა და დაკისრებული ვალდებულებების ფარგლებში რწმუნებულს უფლება აქვს, მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით:

1) წარმოადგინოს მარწმუნებელი **საქართველოს** ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო ორგანოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში, არბიტრაჟში, ადმინისტრაციულ ორგანოსთან, საგამოძიებო ორგანოებთან (პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უსაფრთხოების სამსახური, შსს მომსახურების სააგენტო და სხვა), საბაჟო ორგანოებში, საბანკო დაწესებულებებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, აუდიტორთან და ნებისმიერ კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირთან, ფიზიკურ პირთან, სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებასთან (მათ შორის, საგადასახადო ადმინისტრაციასთან, სადაზღვევო ორგანიზაციებთან, ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოსთან, მათ შორის, მარეგისტრირებელ ორგანოებთან, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურთან, საბაჟო ადმინისტრაციასთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ნებისმიერ ორგანოსთან/სამსახურთან...), ნოტარიუსთან, სხვა ნებისმიერ სუბიექტთან;

2) **საქართველოში** მარწმუნებლის სახელით დადოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის გარიგება, მათ შორის, უძრავ-მოძრავი ქონების (უფლებების, წილების/აქციების, მოთხოვნების, ვალების) გასხვისების/შეძენის (სასყიდლით და/ან უსასყიდლოდ) და ვალდებულებებით (იპოთეკა, გირავნობა, აღნაგობა, დეპოზიტის/მოთხოვნების/უფლებების გირავნობა/იპოთეკა და სხვა) დატვირთვის (მათ შორის, თვით რწმუნებულის, ან სხვა ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ) ხელშეკრულებები, ვალდებულებების უზრუნველყოფის სხვა გარიგებები (მათ შორის, თავდებობის, სოლიდარული თავდებობისა და სხვა), გაქირავების, იჯარით და/ან სხვაგვარად სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებები, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობებების შესახებ კანონმდელობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგების ფარგლებში ნებისმიერი გარიგება, გაყოფის, გაცვლის, სესხის/კრედიტის/ნებისმიერი საბანკო პროდუქტის მიღების შესახებ, მემკვიდრეობით მიღებული სამკვიდრო მასიდან წილის/ქონების გასხვისების (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) ხელშეკრულებები, განსაზღვროს ამ გარიგებათა/ხელშეკრულებათა ყველა პირობა, ცვლილებები/დამატებები შეიტანოს ნებისმიერ ხელშეკრულებაში, გააუქმოს /მოშალოს / შეწყვიტოს გარიგებები / ხელშეკრულებები, ისარგებლოს მარწმუნებლის ყველა უფლებით და შეასრულოს მარწმუნებლის ნებისმიერი ვალდებულება, მათ შორის, ვადაზე ადრე (დაფაროს კრედიტი/სესხი და სხვა), მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების შესახებ, ყადაღის შესახებ ცნობა, საკადასტრო რუკა/გეგმა), ინფორმაცია (ცნობა და ა. შ.) ნებისმიერი საჯარო დაწესებულებისაგან და კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან, რომელიც ეხება მარწმუნებელს (მათ შორის, პერსონალური ინფორმაციის შემცველი), წარმართოს ყველა საქმე, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ სახელმწიფოში შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან (სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება, მშენებლობის ნებართვის მიღება, მათში ცვლილებების შეტანა), დააზუსტოს უძრავი ქონების ფართი, დაადგინოს უძრავი ქონების საკადასტრო საზღვრები და დაამზადოს საკადასტრო რუკა/გეგმა, უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მარწმუნებლის ნებისმიერი სახისა და შინაარსის უფლების/ვალდებულების რეგისტრაცია ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოში; შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაიკანონოს, გამოისყიდოს, იყიდოს უძრავი ქონება (მათ შორის, მიწის ნაკვეთი) და წარმართოს შესაბამისი პროცესი

საქართველოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსა და ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში;

3) ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მართოს და განკარგოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული და **საქართველოში** მდებარე ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ქონება") და ამ ქონებასთან დაკავშირებით მარწმუნებელი შეუზღუდავად წარმოადგინოს ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში, ამ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც დადგენილია წინა _ მე-2 ქვეპუნქტით; მათ შორის, მართოს, გაყიდოს, გაცვალოს და/ან დააგირავოს საქართველოს რეზიდენტი სხვა ნებისმიერი კომერციული იურიდიული პირის კაპიტალში/საწესდებო კაპიტალში მარწმუნებლის კუთვნილი წილი/წილები (შემდგომში მოხსენიებული როგორც **„წილი"**), რომელიც წინამდებარე მინდობილობის გაცემის მომენტისთვის იმყოფება მარწმუნებლის საკუთრებაში და/ან რომელსაც მარწმუნებელი შეიძენს წინამდებარე აქტის გაცემის შემდეგ; ამ უფლებამოსილების ფარგლებში რწმუნებულს უფლება აქვს, დადოს წილის სრული ან ნაწილობრივი ნასყიდობის ან გაცვლის ხელშეკრულებები, წილის გირავნობისა და სხვა ნებისმიერი ხელშეკრულება და გარიგება, განსაზღვროს მათი ყველა პირობა, ისარგებლოს დადებული ხელშეკრულებების/გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი ყველა უფლებით და შეასრულოს ამავე ხელშეკრულებების/გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულებები, გააუქმოს დადებული ხელშეკრულებები/გარიგებები, ცვლილებები/დამატებები შეიტანოს მათში, მარწმუნებლის სახელით ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს **მარწმუნებლის** მონაწილეობით დაფუძნებული/არსებული კომერციული იურიდიული პირების (შემდგომში მოხსენიებული როგორც **„კომპანია"**) პარტნიორთა/აქციონერთა კრების მუშაობაში ნებისმიერი საკითხის განხილვა-გადაწყვეტისას, მათ შორის, შემდეგ საკითხებზე: **კომპანიის** მიერ ნებისმიერი გარიგების დადება (სესხი, იპოთეკა, გირავნობა, აღნაგობა, ნასყიდობა, გაცვლა, უზუფრუქტი, თავდებობა/სოლიდარული თავდებობა, საბანკო გარანტიისა და ნებისმიერი სახის სხვა საბანკო პროდუქტის მიღება და სხვა ნებისმიერი გარიგება), კომპანიის კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების იპოთეკით, გირავნობით, აღნაგობით, სერვიტუტითა და სხვა ნებისმიერი სანივთო და არასანივთო ვალდებულებებით დატვირთვა, საკადრო საკითხები (დირექტორის დანიშვნა-გათავისუფლება, აუდიტორის არჩევა, დირექტორად საკუთარი თავის დანიშვნა და გათავისუფლება და სხვა...); ამასთანავე, რწმუნებულს უფლება აქვს, მარწმუნებლის, როგორც პარტნიორის/აქციონერის სახელით გასცეს თანხმობა/განაცხადოს თანხმობა წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში; დადოს კომპანიის პარტნიორთა/აქციონერთა შორის ნებისმიერი შინაარსისა და ფორმის გარიგებები (მათ შორის, პარტნიორთა ორმხრივი და ან მრავალმხრივი შეთანხმებები და სხვა) და თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მათი ყველა პირობა, შეცვალოს ისინი, გააუქმოს ისინი;

4) მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით დადოს **საქართველოში** მოქმედი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და სხვა სახის ამხანაგობის ხელშეკრულება და/ან ნებისმიერი სახის ამხანაგობასთან მარწმუნებლის მიერთების ხელშეკრულება, განსაზღვროს ამხანაგობაში მონაწილეობისა და ამხანაგობასთან მიერთების ყველა პირობა და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს (გარიგებას და სხვა), გახდეს ნებისმიერი ამხანაგობის წევრი იმ ფორმითა და შინაარსით, რასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს რწმუნებული;

5) მართოს **საქართველოში** მოქმედ ნებისმიერ ამხანაგობაში მარწმუნებლის კუთვნილი წილი მესაკუთრის ყველა უფლებით წილისა და წილის საფუძველზე მიღებული ფართის გასხვისებისა და ნებისმიერი ვალდებულებით დატვირთვის უფლების ჩათვლით, ამხანაგობის კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით, ამხანაგობის კუთვნილი ფართებისა და სხვა ქონების განაწილებაში მონაწილეობის მიღების უფლებისა და ამხანაგობიდან გასვლის უფლების ჩათვლით;

6) ნებისმიერი მესამე პირისაგან (თვით რწმუნებულისაგან) სასყიდლით, და/ან უსასყიდლოდ მიიღოს **საქართველოში მდებარე** უძრავ-მოძრავი ქონება, განსაზღვროს მიღების ყველა პირობა და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს (შესაბამისი შინაარსის გარიგებას და სხვა);

7) მარწმუნებლის კუთვნილი უფლებები და ვალდებულებები, უძრავი და მოძრავი ნივთები აღრიცხოს **საქართველოს** ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოში და ამ მიზნით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, ცვლილებები შეიტანოს რეგისტრირებულ უფლებებსა და ვალდებულებებში, გააუქმოს ისინი;

8) **საქართველოს** საბაჟო ორგანოებში განაბაჟოს მარწმუნებლის ნებისმიერი ტვირთი (მათ შორის, ავტომობილი, მიუხედავად ავტომობილის მარკისა/მოდელისა და სხვა მახასიათებლებისა) და შეასრულოს განსაბაჟებლად საჭირო ყველა საჭირო პროცედურა;

9) **საქართველოში** შექმნას ერთპიროვნულად ან მესამე პირებთან (პირთან) და/ან თვით რწმუნებულთან ერთად ერთად კომერციული იურიდიული პირი და/ან ამხანაგობა; მართოს და განკარგოს (გასხვისებისა და ვალდებულებებით დატვირთვის უფლებამოსილებით) მარწმუნებლის კუთვნილი წილები/აქციები კომერციული იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალსა და/ან ამხანაგობაში;

10) მარწმუნებლის ინტერესების უზრუნველსაყოფად **საქართველოს** კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში მოიპოვოს (გამოითხოვოს) და შექმნას ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი (მათ შორის, საბანკო პლასტიკური ბარათები), ხელი მოაწეროს მათ, მოიპოვოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის ინფორმაცია (პერსონალური ინფორმაციის ჩათვლით), რომელიც შეეხება მარწმუნებელს და/ან მესამე პირს, თუ ამ ინფორმაციის მოპოვების უფლება აქვს მარწმუნებელს;

11) **საქართველოს** რეზიდენტ ნებისმიერ ბანკში (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: სს „პროკრედიტ ბანკში“, სს „თიბისი ბანკში“, სს „საქართველოს ბანკში“, სს „ ტერა ბანკში“, სს „ბაზის ბანკში“, სს „ბანკი ქართუში“, სს „ვითიბი ბანკში“ და სხვა ბანკში), გახსნას/მართოს და დახუროს მარწმუნებლის საბანკო ანგარიშები (როგორც ამ მინდობილობის გაცემამდე, ისე გაცემის შემდეგ გახსნილი საბანკო ანგარიშები) **საქართველოს** რეზიდენტ ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში განათავსოს თანხები დეპოზიტზე, დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები და შეასრულოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის საბანკო ოპერაცია (მიუხედავად ვალუტის სახისა და ოდენობისა), მათ შორის, მიიღოს თანხები, გადარიცხოს თანხები, მიიღოს ნებისმიერი სახის საბანკო პლასტიკური ბარათი, მიიღოს პინკოდი, პაროლი, სხვა მსგავსი ინფორმაცია (მათ შორის, ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან), მიიღოს ნებისმიერი სახის საბანკო პროდუქტი, ბანკთან დადოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის ხელშეკრულება და განსაზღვროს მათი პირობები, ცვლილებები და/ან დამატებები შეიტანოს ნებისმიერ ხელშეკრულებაში, გააუქმოს, მოშალოს, შეწყვიტოს გარიგებები, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც აქვს ბანკთან ურთიერთობაში ფიზიკურ პირს, და ამ მიზნით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობითა და საბანკო კორპორატიული აქტებით;

13) შეასრულოს კომუნალურ მომსახურებასთან დაკავშირებული მარწმუნებლის ვალდებულებები, წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ სუბიექტთან, რომელიც მარწმუნებლს აწვდის ან მიაწვდის კომუნალურ მომსახურებას და/ან საკომუნიკაციო პროდუქტს (ინტერნეტი, ტელეფონი, ტელევიზია და სხვა), დადოს, ან შეწყვიტოს (გააუქმოს) ნებისმიერი სახის ხელშეკრულება ამ სუბიექტებთან, განსაზღვროს ამ ხელშეკრულების/ხელშეკრულებების ყველა პირობა, შეასრულოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები და განახორციელოს უფლებები;

14) შეასრულოს მარწმუნებლის საგადასახადო ვალდებულებანი და წარმართოს ურთიერთობა საგადასახადო ადმინისტრაციასთან ყველა იმ უფლებითა და ვალდებულებით, რაც დადგენილია **საქართველოს** საგადასახადო კანონმდებლობლობით

(მათ შორის, მარწმუნებელი აღრიცხოს გადასახადის გადამხდელად, მიიღოს პაროლი და სხვა ნებისმიერი სახის პირადი ინფორმაცია);

14) **საქართველოში** ნებისმიერ სუბიექტს წარუდგინოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი, განცხადება, ინფორმაცია, მიიღოს მარწმუნებლის კუთვნილი ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი, განცხადება, ინფორმაცია ნებისმიერ ორგანოში (მათ შორის, ნებისმიერი სახის პირადი ინფორმაცია;

15) **საქართველოში** მიიღოს ამანათები და სხვა ნებისმიერი სახის საფოსტო გზავნილი, დოკუმენტი, მატერიალური ფასეულობა და ამ მიზნით შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება;

16) შეასრულოს **საქართველოს** კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების/უფლებების დასაცავად.

17) **საქართველოში** მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება და სადაზღვევო ორგანიზაციასთან წარმართოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის სამართლებრივი/ფინანსური ურთიერთობა (ხელშეკრულებების დადების, ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების უფლებით);

18) **საქართველოში** შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება (გასცეს თანხმობა, შეადგინოს აქტი...), შექმნას, მოიპოვოს ნებისმიერი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს რწმუნებული.

19) მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) **საქართველოს** სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, ნებისმიერი ინსტანციისა და სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში, არბიტრაჟში, ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის, საგამომძიებო ორგანოებში), აწარმოოს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული საქმე, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შეპასუხება და მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ, ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაასრულოს საქმე მორიგებით, გამოითხოვოს სარჩელი; გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; შეცვალოს სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს, ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით.

20) **საქართველოს** კანონმდებლობით დადგენილი წესით შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს / არბიტრაჟის გადაწყვეტილების და/ან გადახდის ბრძანების აღსასრულებლად და ამ მიზნით წარადგინოს მარწმუნებელი სააღსრულებო წარმოების პროცესში შესაბამის ორგანოებთან ურთიერთობისას, შეასრულოს სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის მოქმედება, რაც უნდა შეასრულოს კრედიტორმა და / ან მოვალემ (მათ შორის, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი აღსრულების მიზნით, გადაიხადოს შესაბამისი საფასური, მიიღოს მარწმუნებლის კუთვნილი ქონება და თანხა...);

21) უზრუნველყოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ წილთან და შეძენილ წილთან დაკავშირებული მარწმუნებლის უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია **საქართველოში** წილის მარეგისტრირებელ ორგანოებში; ასევე, უზრუნველყოს მარწმუნებლის საპასპორტო რეკვიზიტების ცვლილების რეგისტრაცია წილის

მარეგისტრირებელ ორგანოებში; ამ მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება;

22) შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც წინამდებარე აქტში პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ რაც აუცილებელი გახდება წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებების განსახორციელებლად და ვალდებულებების შესასრულებლად და რასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს რწმუნებული. შესაბამისად, ამ მუხლის წინა ქვეპუნქტებში მითითებული უფლებამოსილებების ჩამონათვალს აქვს სანიმუშო და არა ამომწურავი ხასიათი.

3. რწმუნებული უფლებამოსილია, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დადოს გარიგება საკუთარ თავთან, ესე იგი გარიგებაში ერთდროულად წარმოადგინოს მარწმუნებელი და/ან მესამე პირი და/ან საკუთარი თავი (რწმუნებული), აგრეთვე უფლებამოსილების განხორციელებისას ერთდროულად იმოქმედოს მარწმუნებლის სახელით, საკუთარი სახელითა და მესამე პირის სახელით.

4. წინამდებარე აქტის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების შედეგად მიღებული ნებისმიერი ქონება (უფლებები, ფულადი თანხები და სხვა) წარმოადგენს მარწმუნებლის საკუთრებას. ეს ნორმა ვრცელდება იმ ვალდებულებებზეც, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე აქტის საფუძველზე.

5. წინამდებარე აქტით უფლებამოსილების მინიჭება რწმუნებულისათვის მარწმუნებელს არ ზღუდავს უშუალოდ და პირადად, ან მესამე პირთა მეშვეობით განახორციელოს ყველა უფლებამოსილება, რაც მითითებულია წინამდებარე აქტში.

6. **წინამდებარე აქტით დადგენილი ნორმები ვრცელდება როგორც ამ აქტის ამოქმედებამდე, ისე ამოქმედების შემდეგ წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.**

მუხლი 2. უფლებამოსილების მესამე პირისათვის გადაცემის შესახებ

1. რწმუნებულს უფლება აქვს, უფლებამოსილების განხორციელებაში ჩართოს დამხმარე პირები (დაიქირაოს ადვოკატი, წარმომადგენელი, სპეციალისტი და დამხმარე პირები).

2. რწმუნებულს უფლება აქვს, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.

მუხლი 3. ინფორმირების ვალდებულების შესახებ

1. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მარწმუნებელს პერიოდულად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

მუხლი 4. უფლებამოსილების ვადის შესახებ

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს **განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.**

2. მარწმუნებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გააუქმოს წინამდებარე აქტი; ამასთანავე, იგი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს რწმუნებულს.

3. უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება სანოტარო აქტით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებების შესახებ

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

2. წინამდებარე აქტი შედგენილია 6 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.“

დანართები:

I. წინამდებარე აქტის ყველა ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „ანკო უძრავი ქონების“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18089101, 22/08/2018 11:27:36);

II. წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:

შპს „ანკო უძრავი ქონების“ წესდება (დამოწმებული 13.08.2018 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესახებ).

სანოტარო მომსახურების ხარჯები (საფუძვლები: საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლები, საგადასახადო კოდექსის 169.1ა მუხლი):

ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 11.80 ლარი (ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი; დღგ: 1.80 ლარი);

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

სულ: 13.80 ლარი.

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებელს/წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მარწმუნებელმა / წარმომადგენელმა წაიკითხა აქტი და განაცხადა, რომ იწონებს მას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი
შპს „ანკო უძრავი ქონება“
(დირექტორი **ირაკლი ჯობავა**)

ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე
ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18089101, 22/08/2018 11:27:36

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ანკო უძრავი ქონება
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405285383
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	14/08/2018
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ქუჩა ჯიქია , მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი N31) ; ქალაქი თბილისი , ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N45)

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: gjobava@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 62001006582, ირაკლი ჯობავა

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
62001006582, ირაკლი ჯობავა	20%	
62001014662, მედიკო ანთია	80%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

